ხობის მოამბე

№3 (7178)
6 მარტი,
ოთხშაბათი, 2024 წელი
გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან
ფასი 0.70 ლარი.

„თვითმმართველობა ოკეთესი ნაძალიძ ხალხის ყოველვეცრის სეჭირორეცისაკ. სეყა ოცდა ერდა დერგეთ, იგი ყველგაკ ხეირონს... ყოველი სეხელძნიგო, ორიგინს ნეს ხედ ყოდეთ თო ბერონდ დაძდგეთრ, ნახილ-ნახილიდ ბრის დეყოგილი, ოთ ძოლიბ და აეგრონობ ადვილი იყოს.”

ი. ჭეჭეიბერ

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს!

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

29 თებერვალს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ქარდავა უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები და განისაზღვრა–24193.0 ათასი ლარით. ხოლო გადასახდელები განისაზღვრა 29655,0 ათასი ლარის ოდენობით.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ის საპროექტო წინადადებები, რომლებიც შეირჩა მოსახლეობასთან კონსულტაციით და მერიის ორგანიზებით ჩატარებულ ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებებზე.

აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2024 წელს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილიქნა 784000 ლარი, ხოლო პროექტების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების თანხა 19 სოფელზე ჯამურად განისაზღვრა 237 000 ლარი და პროექტების ღირებულებამ ჯამში შეადგინა 1021000 ლარი.

ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ძვირფასო ქალბატონებო, დედებო, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ გაზაფხულის პირველ დღესასწაულებს–დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით იმ უმნიშვნელოვანეს როლში, რომელიც ქართველ ქალებს ეჭირათ ჩვენი ქვეყნის სწორი განვითარებისა და მომავლისათვის. მიხარია, რომ ქალების ხმა სულ უფრო აქტიურად ისმის ყველა სფეროსა და საქმიანობაში.

8 მარტის აღნიშვნასთან ერთად, ჩვენი უპირობო ამოცანა ქალთა როლის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებაა, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი თანაბარი შესაძლებლობები და თანასწორი მომავალი, რაც ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის ქვაკუთხედია.

მინდა გამორჩეულად მივულოცო დედის დღე ჩვენთვის ყველაზე საყვარელ ადამიანებს–დედებს, თქვენი შრომა და თავდადება შვილების უკეთესი მომავლისა და უზრუნველი ცხოვრებისთვის ფასდაუდებელია.

ქალბატონებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ულამაზეს დღესასწაულებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ლამაზ დღეთა სიმრავლეს და წარმატებას პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში!

დავით ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

ძვირფასო დედებო! სამყაროში ყველაზე მშვენიერო, სათნო და საყვარელო ადამიანებო! დიდი სიყვარულით გილოცავთ დედის სიყვარულის, განუზომელი ღირებულებების შეხსენების დღეს. არ არსებობს დედაშვილობაზე ძლიერი გრძნობა, დედის სითბო მზის სხივივით ყველგან წვდება, ბედნიერებითა და სიყვარულით გვავსებს. ფასდაუდებელია დედის ამაგი, გამძლეობა და თავდადება, მაგრამ ჩვენ გვაქვს ვალდებულება ამაგის დაფასებისა, მადლიერებისა და სიყვარულის პასუხისა. დაე, მუდამ ამშვენებდეს ბედნიერების ღიმილი თქვენს სახეს. დაე, მუდამ მხოლოდ სიკეთე იყოს თქვენს ცხოვრებაში. დაე, მუდამ მიგვესვლებოდეს სამყაროში ყველაზე საუკეთესო ადგილას, სადაც დედა გველოდება.

აქვე მინდა, დიდი პატივისცემით მოგილოცოთ ქალთა საერთაშორისო დღე.

ქალბატონები, ჩვენი საზოგადოების ღირსეული და საუკეთესო ნაწილი ბრძანდებით, რომელთა წვლილი უდიდესია ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში. თქვენი მიღწევები, ყველა სფეროში, მათ შორის მომავალი თაობების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებულად დასაფასებელი და საამაყოა.

ქალბატონებო, გისურვებთ ყოველი თქვენი გარჯილობის დაფასებას, პროფესიულ წარმატებებს, ოჯახურ ბედნიერებას, სინაზის და სილამაზის შენარჩუნებას.

უფალმა გაგვაძლიეროს თქვენი არსებობით და ბედნიერი ღიმილით, როგორც წყარო და მთავარი მოტივატორი ჩვენი ცხოვრების მუდამ გალამაზებისა.

ლევან ქავთარაძე,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

150 000-ზე მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება–ეს გადაწყვეტილება მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნათია თურნავას და „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორს ბექა გოგიჩაიშვილს შეხვდა.

ამ გადაწყვეტილებით, 150 000-ზე მეტ პენსიონერს, რომლებმაც სესხი აიღეს 2023 წლამდე, სესხის პროცენტი შეუმცირდებათ და გაუტოლდება იმ პროცენტს, რომელიც დაწესებულია 2023 წლიდან.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აღსრულების ნაწილსა და კონკრეტულ დეტალებზე „ლიბერთი ბანკი“ ეროვნულ ბანკთან ერთად გააგრძელებს მუშაობას.

საკითხის განხილვისას მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია დროულად დაიწყოს შემდეგი ეტაპი და პენსიონერებმა განახლებული პირობებით შეძლონ სარგებლობა.

ცნობილი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხობის საპატიო მოქალაქე ბატონი რევაზ პაპუაშვილი იუბილარია.

თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია, არქეოლოგიურ-სამეცნიერო მუშაობას ეწევა სამეგრელოს რეგიონში. მისი ძირითადი საკვლევი არეალია ჩვენი მუნიციპალიტეტი. ბატონი რევაზის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალი არქეოლოგიური ექსპედიცია, გამოიცა სამეცნიერო შრომები.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ რევაზს საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ.

გთავაზობთ მასთან საუბარს ხობის მუნიციპალიტეტში მოღვაწეობაზე.

რევაზ პაპუაშვილი: ,,კოლხეთი კიდევ უფრო ფართოდ გააღებს გულის კარს...“

დავიბადე ისტორიულ და საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ კლდისუბანში, ამბროლაურის რაიონში, რაჭაში, 1951 წლის 20 თებერვალს. მამა ინჟინერი იყო, დედა კი პედაგოგი. მყავს მეუღლე და კოლეგა ნანა პაპუაშვილი, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. ვარ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

სკოლის, ინსტიტუტის დამთავრებისა და ხანმოკლე პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ, 1976 წლის 1 აპრილს დავიწყე მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ექსპედიცია იმჟამად სველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებდა ხობის რაიონის სოფ. ჭალადიდსა და საქორქიოში, უბან სიმაგრეში. ორივე სოფელში ექსპედიციამ, პროფესორ თეიმურაზ (გული) მიქელაძის ხელმძღვანელობით მიაკვლია და შეისწავლა ათეულობით ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ნამოსახლარი და ცალკეული არტეფაქტი.

სიმაგრეზე მოპოვებული საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული ძველი წელთაღრიცხვის, მეექვსე საუკუნის მხატვრული და საწარმოო კერამიკა მიჩნეულია დოკუმენტირებულ დასტურად რეგულარული კონტაქტების გაბმისა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ბერძნულ სამყაროს შორის. რეგულარულის, თორემ ეპიზოდური კონტაქტები მანამდეც არსებობდა. ამიტომაც, ჭალადიდი და საქორქიოც მსოფლიოს არქეოლოგიურ წრეებში კარგადაა ცნობილი. მე კი მეამაყება, რომ ამ აღმოჩენების ახალგაზრდა მონაწილე ვიყავი ნახევარი საუკუნის წინათ.

შემდეგი შეხვედრა ხობთან და ხობელებთან 1984 წელს მოხდა. მაშინ ერგეტაში ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის უნიკალურ კოლხურ აკლდამებს ვთხრიდით. ჩვენთან მოვიდა დღვაბელი მოქალაქე ნოკო ჭითანავა და გვითხრა, რომ მის სახლთან ახლოს ჩაის პლანტაციაში, ადგილზე, რომელიც სუჯუნათის საძვალეს სახელითაა ცნობილი ადგილი აქვს თიხის, სპილენძის, რკინისა და სხვა მასალისგან დამზადებული ცალკეული ნივთებისა და ძვლის ფრაგმენტების აღმოჩენის შემთხვევებს. ჩვენ, ექსპედიციის წევრებმა, ადგილის საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ დავასკვენით, რომ აქაც ისეთივე კოლხურ აკლდამებთან უნდა გვქონოდა საქმე, როგორებსაც ერგეტაში ვთხრიდით. გადაწყდა არქეოლოგიური გათხრებით მისი შესწავლა, მაგრამ სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელი იყო რიგი საკითხების მოგვარება. მიწა თორსა-დღვაბის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნოდა. საჭირო იყო დამხმარე თანამშრომლების მობილიზება, მისასვლელი გზის მოწყობა, ბინისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა ექსპედიციის წევრებისთვის და სხვ. სწორედ ამ საკითხების მოსაგვარებლად პირველად მომიხდა შეხვედრა მაშინდელ რაიკომის პირველ მდივან ნუგზარ ნადარაიასთან და მეურნეობის მაშინდელ დირექტორ გოგი ბუკიასთან. მათმა მხარდაჭერამ, ენთუზიაზმმა და წახალისებამ დიდად განაპირობა ექსპედიციის წარმატებული საქმიანობა არა მარტო კონკრეტულ დროში და კონკრეტულ ლოკაციაზე (ამ შემთხვევაში დღვაბაზეა ლაპარაკი). მათი მაშინდელი დამოკიდებულება პერმანენტულ მხარდაჭერად იქცა ხობელებისა და ხობის რაიონის თავკაცების მიერ არქეოლოგიური სამსახურის მიმართ. შესაბამისად, ქვეყნის უძველეს წარსულთან და კულტურასთან მიმართებაში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონ გოგი ბუკიას საქმეს ამჟამად აგრძელებს მისი შვილი, ხობის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი დავით ბუკია, მისგან დიდ მხარდაჭერას და თანადგომას ვგრძნობთ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრჯერ შეიცვალა პოლიტიკური კლიმატი. სხვადასხვა შეხედულების, ხასიათისა და გემოვნების ხელმძღვანელები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს უმაღლეს, საშუალო და დაბალ რგოლებში, მაგრამ ყველა მათგანის განწყობა ჩვენი დარგის მიმართ უცვლელი რჩებოდა. მე არ მახსენდება ხობის არცერთი ხელისუფალი, ვინც აგდებულად ან გულგრილად ყოფილიყოს განწყობილი თავისი ქვეყნის უძველესი წარსულისადმი.

უკვე მრავალი წელია, მორალური მხარდაჭერის გარდა, ხობის მერია და საკრებულო ყოველთვის ახერხებდა და ახერხებს კულტურის სამსახურის გავლით ყოველწლიურად, შეძლებისდაგვარად დაფინანსოს გათხრითი თუ დაზვერვითი ხასიათის საველე-არქეოლოგიური სამუშაოები, კრიტიკულად მნიშვნელოვან და განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფ არქეოლოგიურ ობიექტებზე. ასეთების ნაკლებობას კი ხობი ნამდვილად არ განიცდის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსური მხარდაჭერა მიღებული შედეგების პუბლიცირების კუთხით.

ხაზგასმით მინდა ვთქვა ისიც, რომ ხობელების დამოკიდებულება წარსულის მიმართ, თანდათანობით გადამდები აღმოჩნდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც. დღეისათვის საქართველოს მრავალი კუთხიდან უკავშირდებიან ხობს რჩევა-დარიგებისა და დაკვალიანებისთვის. რამდენადაც ვიცი, გოგიტა ჩიტაიაც უანგაროდ და დაუზარებლად უზიარებს მათ თავის მდიდარ გამოცდილებას.

იმასაც არ დავმალავ, რომ ჩემი კოლეგა-არქეოლოგები ხშირად შურითაც შემომცქერიან, რადგანაც მე ძირითადად იმ რეგიონში ვმუშაობ (ზუგდიდიც სანიმუშია ამ მხრივ), სადაც გვაფასებენ და მაქსიმალურად გვიწყობენ ხელს. ხობის მიწისქვეშა სივრცეებიც (ხობთუდოშე) არ გვიცრუებს იმედებს და ახალ-ახალ სიურპრიზებს გვთავაზობს.

დიდი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყო ფართომასშტაბიანი გათხრითი სამუშაოების ჩატარება ყულევში. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ყულევი ჯერ კიდევ 1885 წელს მოექცა წარსულის მკვლევართა ყურადღების სფეროში. მაშინ პროფესორმა ნ. შაფრანოვმა მდ. ცივის ნაპირზე ჭაობში მიაკვლია შენობის ნანგრევებს და დაასკვნა, რომ აქ შენობები უნდა აგებულიყო მაშინ, როდესაც ის ადგილები ჯერ არ იყო დაჭაობებული. შემდეგ იქ 1940-იან წლებში მუშაობდა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი ნინო ხოშტარია.

1970-იან წლებში ბრინჯაოს ხანის დასახლება და პირველი-მეექვსე საუკუნის ნაგებობები დააფიქსირა პროფ. დავით ხახუტაიშვილმა. 1999-2007 წლებში კი ნავთობპროდუქტების გადასატვირთვი ტერმინალის მშენებლობის პარალელურად (მშენებლების ფინანსური უზრუნველყოფით) მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრებიც და მას ჩვენ ვხელმძღვანელობდით.

დადგინდა, რომ ხობისწყლის შესართავის მიდამოებში ცხოვრება იწყება თითქმის 3500 წლის წინათ, შუაბრინჯაოს ხანაში და მეტნაკლები ინტენსივობით გრძელდება დღემდე. ჩატარებული სამუშაოები გვაძლევს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ხობის შესართავთან მოვიაზროთ წერილობითი წყაროებით ცნობილი კოლხური ქალაქები: კიკნოსი, კიგნიუმი, ნეაპოლისი, კემხელი და რედუტ-კალე. მადლიერებით ვიტყვით, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერია-საკრებულოს ფინანსური უზრუნველყოფით, ყულევში მიღებული კვლევის შედეგები უკვე გამოქვეყნებულია საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ყულევის ობიექტების დიდ ნაწილს არქეოლოგის

წერაქვი ჯერ არც შეჰხებია. მრავალი საინტერესო აღმოჩენები წინაა.

ჩემი მეგობრის შესანიშნავი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და კულტუროლოგის გოგიტა ჩიტაიას ფეისბუკსლოგანია–,,სამეგრელოს სიამაყე ხობის მონასტერი“. რატომ მხოლოდ სამეგრელოსი და არა სრულიად საქართველოსი? დიახ, დიდი შინაარსის მატარებელია ხობის მონასტერი. აქ არას ვიტყვი არც კვართზე, არც დავითის და არც თამარის ჯვარზე. ისევ კითხვაა. რატომ ესოდენ დიდი სიწმინდეები არც ისე დიდი ზომისა და არქიტექტურულად არც თუ დახვეწილ ტაძარში? ამ კითხვაზე პასუხების მინიშნება შემორჩენილ ლეგენდებში, აკაკი წერეთლის პოემა ,,ნათელაში“ და არსებული ნაგებობის ზოგიერთ სამშენებლო დეტალში თითქოს იკითხებოდა კიდეც, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მას დოკუმენტურად დადასტურება ესაჭიროებოდა, რაც მხოლოდ არქეოლოგიური გათხრებით გახდებოდა შესაძლებელი. ეს კარგად ესმოდათ ხობისა და ფოთის ეპარქიის საჭეთმპყრობელს, სასულერიო პირებს, ხობის მერია-საკრებულოს ხელმძღვანელობას და ხობის მონასტრის ისტორიითა და არქიტექტურით დაინტერესებულ საზოგადოებას.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებას ბიძგი 2009 წელს მონასტერში მისასვლელი გზის კეთილმოწყობისას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარების გამოვლენამ და მისი შესწავლის დაწყებამ მისცა. შემდგომ კი ტაძრის იატაკის შეცვლის დროს გამოჩნდა აკლდამები, უფრო მოგვიანებით კი უფრო ძველი და უფრო დიდი ტაძრის ნაშთი, ვიდრე დღევანდელია. საეპისკოპოსო სასახლის რესტავრაციის პროცესში კი აღმოჩნდა, რომ ეკლესიის მთელი ეზო, გალავნის შიგნითაც და მის გარე პერიმეტრზეც (თითქმის ყოველი მხრიდან) შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ბევრად ძველსა და ფუნქციურად განსხვავებულ მრავალ შენობათა მთელ სისტემას. მათ ბოლომდე გამოვლენასა და შესწავლას კიდევ მრავალი ათეული წელი დასჭირდება. ცხადია, მრავალი სიახლით შეივსება და გამდიდრდება მონასტრის ისტორია, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, შემდეგი პირველი დასახლებები, იქ, სადაც დღეს მონასტერია გაშენებული, 3000 წლის წინ ჩნდება, ხობის დღევანდელი ტაძარი უფრო ძველსა და დიდი ტაძრის ნანგრევებზეა დაშენებული, ტაძრის იატაკისქვეშა სივრცეებში მრავალი ინდივიდუალური და კოლექტიური განსასვენებელია გამართული, მათ შორის შერგილის, გიორგის, ვამეყისა და ცოტნე დადიანების, გალავნის შიგნით და გარეთ არქეოლოგიური და გეოფიზიკური მეთოდებით ფიქსირებული ადრეშუასაუკუნეებში აგებული მრავალი შენობის ნაშთი განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, კონკრეტულ შინაარსს სძენს აკაკი წერეთლის სიტყვებს–***<u>„იქ, სადაც ხოპის ნაპირზე დღეს ძველი მონასტერია, მთავრის სასახლე ყოფილა, მიდამოც დიდი სჭერია“.</u>***

მონასტერში ჩატარებული კვლევები 2009-2016 წწ. მიმდინარეობდა. შედეგები უკვე მონოგრაფიულადაა გამოქვეყნებული. აუცილებელია ისიც ითქვას, რომ გათხრითი სამუშაოებიცა და კვლევების პუბლიკაციაც მთლიანად მერიისა და საკრებულოს ფინანსური უზრუნველყოფით გახდა შესაძლებელი.

ისევ ხობელების, მერიისა და საკრებულოს მონდომებითა და უზრუნველყოფით, 2015 წლიდან მიმდინარეობს საველე-არქეოლოგიური სამუშაოები სოფელ პირველ მაისში ,,მაჩხომერის გოლას“ სახელით ცნობილ ბორცვზე. აქ ჩატარებული საველე კვლევების შემდეგ გამოიკვეთა: გალავანი, ორი კოშკი, ბაზილიკური ტიპის ტაძარი, სხვადასხვაგვარად ნაგები აკლდამები, ინჰუმაციური სამარხები, კერამიკული პროდუქციის გამოსაწვავი ქურა, აგრეთვე თიხის, ქვისა და ლითონის მრავალი არტეფაქტი.

3

2

ძეგლი მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ აქ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ქვის ის თექვსმეტი ფილა, რომლებზედაც ბერძნული-მთავრული ასონიშნებით შესრულებული წარწერებია დატანილი. ისიც უნდა ითქვას, რომ მაჩხომერის გათხრებამდე ამ პერიოდის მხოლოდ ექვსი, ისიც ძალზე ფრაგმენტული, წარწერა იყო ცნობილი დასავლეთ საქართველოდან. მაჩხომერის წარწერები სამი განსხვავებული ხელითაა შესრულებული (მინიმუმ სამ კაცს მაინც სცოდნია წერა-კითხვა მეექვსე საუკუნის მაჩხომერში). წარწერები წაკითხულია ცნობილი ბიზანტიოლოგის, ანდრეი ვინოგრადოვის მიერ. ისინი გვაუწყებენ, რომ ეს

ტაძარი ააშენა გორგონიმ წმინდა ორმოც მოწამეთა სახელზე, რომ თეონია ევედრება უფალს დაიცვას ის და მისი სახლეული, რომ სათალიის ეპისკოპოსი ანისიოსი მრევლთან ერთად ჩამოვიდა და, რომ მას აქ დახვდა ქრისტესმოყვარე ევლოგი, რომ დურგლებმა (ხელოსნებმა) მიიღეს გასამრჯელო, რომ თაკე (როგორც ჩანს ბავშვი) სწავლობს ანბანს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არცერთ არქეოლოგიურ კომპლექსს არ მოუცია იმდენი ინფორმაცია გუბაზ მეფისდროინდელი ეგრისის (ლაზიკის) შესახებ, რაც მაჩხომერმა მოგვცა ხანმოკლე და ჯერ მაინც, შედარებით შეზღუდული გათხრების შედეგად. სამუშაოები გრძელდება. კვლავ ველით სიურპრიზებს.

მაჩხომერის წარწერებმა აღმოჩენისთანავე მიიპყრო საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ამას ადასტურებს გერმანიაში, პოლონეთში, იტალიაში, რუსეთში და საქართველოს სხვადასხვა რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები.

2019 წლიდან მაჩხომერის ექსპედიციაში ჩართულები არიან სპეციალისტები იტალიიდან (ემანუელ ინტაგლიატა), გერმანიიდან (ანიგრეტ პლოტკე) და რუსეთიდან (ანდრეი ვინოგრადოვი). ხობელი ახალგაზრდები: ვაჟა ჩიტაია, მარიამ ბუკია, ანდრო გაბისონია, რომა სიჭინავა, ნიკა და ლუკა ხურცილავები აქტიურად მონაწილეობენ საველე სამუშაოებში. უფრო მეტიც, ვაჟა ჩიტაიამ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგის დოქტორ დავით ნასყიდაშვილის თანადგომით საერთაშორისო ექსპედიციაშიც (ყაზახეთში) მიიღო მონაწილეობა. უკვე სანდო და გამოცდილი თანამშრომლები არიან: გიორგი აბაკელია, მურად ლატარია, ელდარ პაჭკორია, გოჩა ჩიტაია და ჰამლეტ კვარაცხელია.

ჩვენ შევეცადეთ იმ ობიექტების მნიშვნელობაზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომლებზედაც გარკვეული გათხრითი სამუშაოები უკვე ჩატარდა, მაგრამ სახეზე გვაქვს ათეულობით ისეთი ძეგლი, რომელთა მხოლოდ ვიზუალური მხარე ვიცით ზედაპირული დაზვერვების შედეგად და არავინ იცის, რა აღმოჩნდება მათ წიაღში მაშინ, როდესაც იქ, არქეოლოგიური გათხრები დაიწყება. ყველას ვერ ჩამოვთვლით. მათი ზოგადი დახასიათება და კოორდინატები მოცემულია გოგიტა ჩიტაიას მონოგრაფიაში „ხობის სიძველენი“. ჯეგეთა, ნაბერაყუ, ჩეოხვამე, ყურმულიას ჯიხა, ჯახუთის ჯიხა, ნოჯიხევის ჯიხა, საკვიკვინიოს ნაეკლესიარი, ჭიხუ, წმ. სოფიოს ეკლესია და მისი მიმდებარე არქიტექტურული კომპლექსი, ფოთის სანერგესა და აეროდრომის მიდამოები, ნადართუს ანტიკური ნამოსახლარები, ოტორონჯე, ნანდეუ, მდინარე ხობისწყლის მიერ ანტიკური ხანის ჩამორეცხილი სამარხები ხორგასა და გურიფულში. აგრეთვე მის კალაპოტში ნაპოვნი თიხის, ბრინჯაოსა და რკინის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არტეფაქტები გვაძლევენ იმედებს, რომ კოლხეთი კიდევ უფრო ფართოდ გააღებს გულის კარს.

დრო და საჭიროება დააყენებს ხობში უფრო დიდი და კეთილმოწყობილი მუზეუმის გამართვის აუცილებლობას. ზემოხსენებულ არქეოლოგიურ ძეგლებს ამის პოტენციალი გააჩნიათ. ამას ნამდვილად იმსახურებენ ხობელებიც. ბოლოს და ბოლოს ხობი ხომ კოლხეთის გულია და არა მარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით...

რთული და შრომატევადი დარგია არქეოლოგია. მას ხშირად იმედგაცრუებები ახლავს, მაგრამ ასევე ხშირად დიდი აღმოჩენებიც.

სიამაყით
რევაზ პაპუაშვილი, ხობის საპატიო მოქალაქე
20.02.24

ნანა გვასალია–ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და ავტორი, ძალა და იმედი. სოფელ გურიფულის ღირსეული ხელმძღვანელი, ჭირსა და ლხინში მოსახლეობის გვერდით მდგომი, მათი სიხარულისა და სურვილის მონაწილე და აღმსრულებელი. განსაკუთრებული ხელწერით, სიტყვითა და საქმით მომფერებელი, ინტელექტით გამორჩეული პიროვნება.

ქალბატონი ნანა დღეს ჩვენი სტუმარია... გაზეთხულის პირველი თვე ისე რთგორ ჩაივლიდა, მას არ შევხმიანებოდი და გურიფულელთა სასიამოვნო და საინტერესო საქმეებსა და ცხოვრებაზე არ გვესაუბრა...

მერი ლაგვილავა

„კეთილშობილური სწრაფვებითა და ღირსების მაღალი გრძნობით“

უკვე მერამდენედ მიხდება გაზეთის ფურცლებიდან იმაზე საუბარი თუ რისი გაკეთება მოვახერხეთ ბოლო პერიოდში ჩვენს სოფელში და რის გაკეთებას ვაპირებთ უახლოეს დროში.

ადვილი სათქმელია, მასთან უფლისეულად საამაყო ჩამოთვლა იმ პროექტებისა, რომელიც საშუალებას გაძლევს მოსახლეობის თანადგომითა და ხელისუფლების მხარდაჭერით კეთილი სიტყვა შეიტანო ისტორიის იმ ძვირფას ნუსხაში, რომლითაც ამაყობს შენი სოფელი და რომელიც მის კეთილმოსაგონარ ბიოგრაფიას წარმოადგენს.

დიახ, ჩვენ, ხელისუფლებამ ხალხის თანადგომით, მოვახერხეთ არაერთი საჭირბოროტო საკითხის სასიკეთოდ გადაჭრა, შეძლებისდაგვარად გავუმკლავდით სტიქიის მოძალებას, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მივმართეთ მოსახლეობის ნების შესაბამისად. გავწმინდეთ და ამოვწმინდეთ სანიაღვრე არხები, ახალი სანიაღვრე არტერია მოვაწყვეთ პირველი გურიფულის რიგ მოსახლესთან, სადაც პატარა წვიმის დროსაც კი ეზოში შესვლაც შეუძლებელი გახლდათ.

ასევე რეაბილიტაცია გავუკეთეთ და მოვაწყვეთ პირველ გურიფულში მდებარე მინი სტადიონი, მეორე გურიფულის ერთ-ერთ დიდ, მთავარი ქუჩის განაპირად მდებარე ქუჩაზე მოვაწყვეთ გარე განათება და სხვ.

ყოველდღიურ რეჟიმში ვეხმარებით ჩვენს მოსახლეობას და ვერავინ იტყვის, რომ უყურადღებოდ დარჩენილა ჩვენგან, ან შესაძლებლობის მაქსიმუმი არ გაგვიღია თითოეული განმცხადებლის მისამართით. მე და ჩემს თანამშრომელს, ღირსეულ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას–ბატონ ირაკლი სახურიას თითოეული ადამიანის მაჯაზე გვიდევს ხელი და მათი საჭიროება თუ სატკივარი გულთან ახლოს მიგვაქვს.

ხელისუფლებას შორს გამიზნული გეგმები გააჩნია ახალგაზრდების საზოგადოებრივად გააქტიურებასა და პოლიტიკურ პროცესებთან აქტიურად ჩართვის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვახერხოთ ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით ძველთან დროულად განშორება და ახლის, თანამედროვეობასთან შეთვალმზერებით ახლის დროულად მიღება. ამისთვის კი აუცილებელია ჩვენი ინტელექტუალური და მორალური ცხოვრების წიაღში მუდამ ჩქეფდეს ცოცხალი ნაკადი შემოქმედებისა, ნებისმიერი საქმის შემოქმედებითად მიდგომისა. რისთვისაც აუცილებელია აქტიურობა და სითამამე თუნდაც პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში, საღი აზრის აღქმითა და სისწორის დანახვის შეძლებით.

უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკა ფართოდ უღებს კარს ყველას. ის პროფესია არაა, პოლიტიკა გაგების ფორმაა, ნებისმიერი პრობლემის დასმა და გადაჭრაა. პოლიტიკა საზოგადოებრივი პრობლემის გარსია–ეკონომიკური, რელიგიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ა.შ. ყველა იმ საკითხის მოცემულობაა, რაც კი კაცობრიობის წინაშე დგას დემოკრატიული მიზანშეწონილობით.

ასე, რომ ყველაფერი ჩვენს, ანუ მოსახლეობის ხელშია, მთავარია ჩართულობის პრინციპები სწორად და მიზანშეწონილად განისაზღვროს. ამისთვის კი ყველაფერს აკეთებს ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ღირსეული მერის ბატონ დავით ბუკიას მეწინავეობით.

მოკლედ, ძალიან საინტერესო დღეები გველოდება, ერთობით დიდი საქმეების კეთებისა და გამარჯვებისა.

მთავარია ვიმოქმედოთ კეთილშობილური სწრაფვებითა და ღირსების მაღალი გრძნობებით!

ვსარგებლობ შემთხვევით და გაზაფხულის შემობრძანებას ვუღოცავ სრულიად პლანეტას, მზისა და მთვარის მობრუნებას სიცოცხლისკენ, მიწის ყვავილებად აფეთქებას, ჩვენი დედიკოების თვალების აჟუჟუნებას, მათი სიცოცხლისა და სილამაზის დასტურად და მარეკებივით აშლილი ქალური ხიბლისა და სიყვარულის მარადიულობას.

„გაზაფხულს მარტო
იმიტომ გაუმარჯოს,
გაზაფხულს მარტო
იმიტომ ვლოცავ,
რომ ქალი დედად, და
სიყვარულად-
აფეთქებულ იად
მოგვართვა!“

ნანა გვასალია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

„თუ გყავს ძლიერი გუნდი, წარმატება არ დააყოვნებს“

გაზაფხულის მობრძანებას, დედის და ქალის დღესასწაულები მოჰყვა.

მინდა ეს ლამაზი დღეები დიდი სიყვარულით მივულოცო ხობის №2 საჯარო სკოლის ქალბატონებს, უპირველესად კი ქალბატონ ნანა ქვარაიას–შესანიშნავ დედას, უნიჭიერეს ფილოლოგს, გამორჩეულ დირექტორს, სამართლიანს, მიზანსწრაფულს, შრომისმოყვარეს და ყოველივე სასურველის და მისთვის სანატრელის ახდენა ვუსურვო.

ქალბატონო ნანა, მინდა როგორც რესპოდენტი გაზეთ „ხობის მოამბეს“ რამდენიმე კითხვას უპასუხოთ:

გვიამბეთ ყველაფერი თქვნზე?

–ნანა ქვარაია არის მასწავლებელი. ვფიქრობ, ეს პროფესია შინაგანი ხმით ავირჩიე და ეს ჩემი, როგორც პიროვნების, ბედნიერების განმაპირობებელია. საყვარელ პროფესიას თუ ვერ მიაგენი, ცხოვრება ტანჯვად გადაგექცევა.

თქვენი საუბარი, საგაზეთო წერილები და თქვენი საქმიანობა ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს.

გვიამბეთ თქვენს სკოლაზე, პედაგოგიურ კოლექტივზე, თავად რამდენი წელია ამ სკოლაში მოღვაწეობთ. დირექტორად?

–ჩემი სკოლა–ეს არის ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა, სადაც 1991 წლიდან ვმუშაობ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ჩემი ცხოვრების გამორჩეული წლები ამ სკოლას უკავშირდება. 2007 წლიდან სკოლის დირექტორი გავხდი. თუ გულით მოეკიდები საქმეს და ყველაფერს გააკეთებ მიზნის მისაღწევად და გვერდში გყავს ძლიერი გუნდი, წარმატებაც არ დააყოვნებს. ჩემი მოსწავლეების და ჩემი, როგორც დირექტორის, წარმატებების შემოქმედი ჩემი სკოლის პედაგოგიური კოლექტივია–ჯანსაღი, შემოქმედი, განვითარებასა და სიახლეებზე ორიენტირებული, ერთ გუნდად შეკრული.

ქალბატონო ნანა, თქვენი სკოლის რეაბილიტაცია და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები როდიდან დაიწყება, რას იტყვით ამაზე?

–თანამედროვე სკოლა ყველანაირად უნდა პასუხობდეს ეპოქის მოთხოვნებს როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსებით. სკოლაში მოსწავლე თავს უნდა გრძნობდეს უსაფრთხოდ და კომფორტულად და გაკვეთილი გაჯერებული უნდა იყოს ელექტრონული რესურსებით. ამის გარეშე ვერ იქნება სასწავლო პროცესი სრულყოფილი. როგორც ცნობილია, უკვე დაწყებულია საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესი და აქტიურად მიმდინარეობს სკოლების რეაბილიტაცია, ჩვენი სკოლის რეაბილიტაციისთვის საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს და იმედია, ახლო ხანებში ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გადაწყდება.

ბოლო წლებში ყველაზე უფრო გამორჩეულად რამ გაგახარათ?

–ცხოვრება ისეთი მოულოდნელობებით, სიურპრიზებით და გამოწვევებით არის აღსავსე, რომ გიჭირს გამოარჩიო მათ შორის რომელიმე. სკოლა მასწავლებლისთვის მეორე ოჯახია და გამორჩეულად გასახარებელიც მათ უკავშირდება. როცა ამდენი მოსწავლის, მასწავლებლის ემოციას, განცდას და სიხარულს იზიარებ, ძნელია გამოარჩიო რომელიმე. ყველაზე მეტად მიხარია მათი წარმატებები.

თვისება, რომელიც ადამიანს უნდა გააჩნდეს და თქვენთვის უპირველესია?

–ყველა ადამიანი ინდივიდუალური და უნიკალურია, ყველა ადამიანს ადამიანობის საკუთარი საზომი გააჩნია. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანი იყოს გულწრფელი, პასუხისმგებლობის მქონე და პოზიტიური. ვითრგუნები, როცა ადამიანი ვერ აცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს, ადვილად ნებდება, არ იბრძვის, დინებას მიჰყვება. თუ ადამიანი იფიქრებს, რომ ვერასდროს შეძლებს, ვერაფერს მიაღწევს. უნდა გვქონდეს ზომიერად მაღალი თვითშეფასება და საქმის დაწყების წინ შევძახოთ საკუთარ თავს „მე ეს შემიძლია!“

თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვისთვის მშობლის მაგალითს, აგრეთვე, როგორ უნდა განსაზღვროს მან ბავშვის „ოქროს შუალედი“?

–ბავშვის აღზრდაში მშობლის როლი უპირველესია. მშობელი არის მისთვის მაგალითის მიმცემი, ასევე მისი ყველაზე დიდი მეგობარი და მხარდამჭერი. ზოგ მშობელს ჰგონია, რომ მხოლოდ მატერიალური მხარდაჭერა უპირველესია, თუმცა ყველზე მნიშვნელოვანია, რომ მეტი დრო დავუთმოთ შვილებთან ურთიერთობას, ვასწავლოთ პრობლემების გადალახვა, ემოციების მართვა, განსხვავებულისადმი ემპათიური დამოკიდებულება, საკუთარი შეცდომების დანახვა და აღიარება, წავახალისოთ მათი დადებითი ქცევა. ნუ დავავალებთ მათ, რომ იყვნენ აუცილებლად სხვებზე უკეთესები, ისწავლონ მხოლოდ უმაღლეს ქულებზე, ვეცადოთ, რომ ისინი გახდნენ კარგი ადამიანები. ხშირად ვკითხოთ მასწავლებლებს არამხოლოდ მათი აკადემიური მიღწევების შესახებ, არამედ როგორ იქცევა ან რა აწუხებს მათ შვილს. ამ მხრივ დღევანდელმა რეალობამ გარკვეული პრობლემები შექმნა. ბავშვებს, რომელთა მშობლებიც ემიგრაციაში არიან, განსაკუთრებული, ამოუცნობი სევდა აქვთ თვალებში...

ოტული სულისკვეთება?

–რთულ, გამოწვევებით, ცვლილებებით აღსავსე გარემოში უწევთ ჩვენს მოსწავლეებს ცხოვრება და ამ ცვალებად გარემოში საკუთარი ადგილის პოვნისთვის, სწორი პოზიციის ამორჩევისათვის უმნიშვნელოვანესია ოჯახთან ერთად სკოლის როლი. სკოლაში ხდება ადამიანის პიროვნული ფორმირება და საშუალო საფეხურს რომ დაასრულებს მოზარდი, ის ცხოვრების ყოველი გამოწვევისთვის მზად უნდა იყოს, ამიტომ სწორედ ამ თორმეტი წლის განმავლობაში მათ უნდა ჩამოვუყალიბოთ სწორი ღირებულებები, რომ ისინი იყვნენ სამართლიანები, კრიტიკულები, ტოლერანტულები, სამოქალაქო ცნობიერების მქონენი, ეროვნული ღირებულებების მატარებელნი, სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებულნი და შეძლონ ამ ცვალებად გარემოში სრულუფლებიანი და სრულფასოვანი ცხოვრება. ჩვენს მოსწავლეებს ძალიან ახარებთ ერთმანეთის წარმატებები და მაღალია მათი პატრიოტული სულისკვეთება.

სკოლაში რა კეთდება მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის?

–შემოქმედებითი აზროვნების განვითარება განათლების სისტემის ერთ-ერთ უპირველეს გამოწვევად იქცა. თანამედროვე ცხოვრებაში, რომელიც მძაფრი კონკურენციით ხასიათდება, სულ უფრო მეტია მოთხოვნა შემოქმედებით ადამიანებზე, რომლებიც გამოირჩევიან არასტანდარტული, არაშაბლონური აზროვნებით და აქვთ მრავალწახნაგოვანი ხედვა, შეუძლიათ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების შემოთავაზება. ასე, რომ სკოლამ შემოქმედებითობის განვითარებაზე ადრეული ასაკიდანვე უნდა იზრუნოს.

მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის მიღებით საგნის სტანდარტი ვერ მიიღწევა. ყველა საგნის მასწავლებელი, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს ამ მიზნის მისაღწევად.

ხომ არ გქონიათ სკოლაში ბულინგის შემთხვევები, როგორ იცავთ მოსწავლეებს ბულინგისგან?

–სკოლაში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს უსაფრთხო გარემო. განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს ბულინგი. ადვილი არ არის მისი აღმოფხვრა. მისგან დაცული არავინ არ არის. ვინაიდან ბულინგი ხორციელდება საკუთარ თავზე საუბარი ყველაზე ნაკლებად მიყვარს, მაგრამ წლები რომ გადის, უნებურად გიწევს თვალი გადაავლო წარსულს... ძალიან ბეჯითი მოსწავლე ვიყავი, არ მახსოვს სკოლაში მოუმზადებელი წავსულიყავი, ხშირად ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონკურსში, ჰუმანიტარული საგნები უფრო მიზიდავდა და სიამოვნებით ვსწავლობდი, ვკითხულობდი ძალიან ბევრ კლასგარეშე ლიტერატურას. ბალიშის ქვეშ ვმალავდი წიგნებს და ღამეები მითენებია კითხვაში. ყველაზე კარგი პროფესია ბიბლიოთეკარი მეგონა, რადგან ამდენი წიგნი იყო მის ირგვლივ. ჩემზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჩემმა ქართულის მასწავლებელმა ვაჟა ქვარაიამ (ის ბიძაჩემი იყო). არასდროს ხმა არ აუწევია გაკვეთილზე, მაგრამ ყველა მონუსხული ვუსმენდით. დღემდე ყურში ჩამესმის მის მიერ ახსნილი გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, ვაჟას შემოქმედება. ემოციით დატვირთული... ასე გვეგონა, თეატრში წარმოდგენას ვუყურებდით... კი არ გვიხსნიდა, შევყავდით პერსონაჟების განცდებში... ასევე დაუვიწყარია ჩემი ბიოლოგიის მასწავლებლის მანანა შულაიას როლი ჩემი პროფესიის არჩევაში... ის, როგორც პედაგოგი, დროს წინ უსწრებდა, მისი გაკვეთილები არ იყო უბრალოდ ახალი მასალის ახსნა, ეს იყო ინტერაქტიური პროცესი, სწავლა კეთებით, მოსწავლეებთან ერთად ახალი ცოდნის კონსტრუირება. რომ არა ვაჟა და მანანა მასწავლებელი, მე დღეს მასწავლებელი არ ვიქნებოდი. არადა, ვერც წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა ამპლუაში. ჩემი ყოველი დილა იწყება ჩემი გაკვეთილით და იქიდან ენერგიით სავსე და ბედნიერი გამოვდივარ.

თქვენი საუბარი, საგაზეთო წერილები და თქვენი საქმიანობა ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს.

გვიამბეთ თქვენს სკოლაზე, პედაგოგიურ კოლექტივზე, თავად რამდენი წელია ამ სკოლაში მოღვაწეობთ. დირექტორად?

–ნანა ქვარაია არის მასწავლებელი. ვფიქრობ, ეს პროფესია შინაგანი ხმით ავირჩიე და ეს ჩემი, როგორც პიროვნების, ბედნიერების განმაპირობებელია. საყვარელ პროფესიას თუ ვერ მიაგენი, ცხოვრება ტანჯვად გადაგექცევა.

5

ძირითადად მოზარდობის პერიოდში, ანუ სასკოლო პერიოდში, აუცილებელია, სკოლამ მიიღოს გარკვეული ზომები მის აღმოსაფხვრელად. ჩვენს სკოლაში ბულინგის შემთხვევების წინააღმდეგ მაქსიმალურად ვიბრძვით. ამ შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი ჩართულია მისი პრევენციისა თუ იდენტიფიცირების პროცესში, სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებლები, მანდატურები. მიზნის მისაღწევად სასურველი და ამავე დროს აუცილებელია, სკოლის თანამშრომლებს გვერდით დაუდგნენ ბავშვები და მათი მშობლებიც. კლასის დამრიგებლები აღნიშნულ საკითხზე ატარებენ კლასის საათს, მშობელთა ინფორმირებას ახდენენ აღნიშნულ საკითხზე. სამოქალაქო კლუბის მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებას: ვიდეორგოლების მომზადება და დისკუსია ამ საკითხზე, ბულინგის საწინააღმდეგო პოსტერების მომზადება, სპეციალური კვირეულების ჩატარება ბულინგის თემაზე.

გასული სასწავლო წელი ძალიან წარმატებული იყო თქვენი სკოლისთვის. ამჯერად როგორი პროგნოზის გაკეთება შეგიძლიათ?

–წარმატებული სკოლის ინდიკატორი წარმატებული მოსწავლეებია. ჩვენი სკოლა ტრადიციულად ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსში წარმატებულად. ყოველ წელს აქტიურად არიან ჩვენი მოსწავლეები ჩართული ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, ფინალურ ტურშიც გადადიან და იმარჯვებენ. წელსაც გვყავს მესამე ტურში გადასული მოსწავლეები. ძალიან კარგ შედეგებს აღწევენ ჩვენი მოსწავლეები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, შარშან სკოლის კურსდამთავრებულებიდან უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 38, გრანტი აიღო 7-მა, მათ შორის 100% გრანტი მიიღო 2-მა კურსდამთავრებულმა. წელსაც წარმატებებს ველოდებით.

ქალბატონო ნანა, სკოლაში ტრადიციულად გყავთ ღირსეული, წარმატებული პედაგოგები, როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი მოსწავლეებზე რა გავლენას ახდენს. ისინი გბაძავენ, ითვალისწინებენ, სწავლობენ თითოეულისგან საუკეთესო თვისებებს?

–ნამდვილად, ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღირსეული, წარმატებული, ერთ მუშტად შეკრული ერთობაა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელი ხომ მოსწავლისთვის მოდელია, უდიდეს ზეგავლენას ახდენს მათ ზნეობრივ და ინტელექტუალურ ჩამოყალიბებაზე.

წარსულიდან გამორჩეულად, განსაკუთრებულად ხომ არ გამოყოფთ რომელიმე მოსწავლეს?

–ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს ჩვენს სკოლას, მათი ჩამოთვლა, თუნდაც გამორჩეულის, შორს წაგვიყვანს. მე მიმაჩნია, ყველა შემდგარი ადამიანი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ეროვნული ღირებულებების მატარებელი, რომელსაც შეუძლია ამ ცივ და გულგრილ სამყაროში დარჩეს ადამიანად, არის წარმატებული და ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი გამორჩეული კურსდამთავრებულები.

თქვენი აზრით, ზედმეტი თავისუფლება, თანაგრძნობა, მიმტევებლობა, მოზარდის ჩამოყალიბებაში მართებულია თუ, არსებობს სხვა გზა, რომელიც უფრო არგებს მათ. რა არის ეს გზა?

–ჩემი აზრით, პრობლემას ის ქმნის, რომ მოზარდებს არასწორად ესმით თავისუფლების არსი, ხშირად კარგად იციან თავიანთი უფლებები, მაგრამ ნაკლებად ფიქრობენ მოვალეობებზე. კანონმორჩილების უგულებელყოფა არ არის თავისუფლება. რაც შეეხება თანაგრძნობის, ემპათიის, მიმტევებლობის, ტოლერანტობის, მოყვასის თანაგრძნობისა და სიყვარულის გარეშე აღზრდა წარმოუდგენელია.

სად არის თქვენთვის ყველაზე სასურველი ადგილი, სადაც თავს ისე გრძნობთ, როგორიც ხართ?

–ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს საკლასო ოთახში, ჩემს მოსწავლეებთან. პირველად, გაკვეთილზე რომ შევედი, 21 წლისა ვიყავი. განაწილებით მოვხვდი ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის საშუალო სკოლაში. არაჩვეულებრივი პედაგოგიური კოლექტივი დამხვდა. პირველი გაკვეთილი მე-11 კლასელებთან ჩავატარე. საკლასო ოთახის კარი რომ მივხურე და დავრჩი მოსწავლეების წინაშე, სადღაც გაქრა ჩემს გონებაში წინასწარ დალაგებული ე. წ „გაკვეთილის გეგმა“, წინასწარ მოფიქრებული „დავარცხნილი“ ფრაზები და მათთან გავაბი საუბარი ჩემს თავზე, ლიტერატურაზე, ჩემს მოლოდინებზე, მათ ინტერესებზე... და ამ დღიდან მოყოლებული სამი ათეული წელი გავიდა და არასდროს მქონია ე. წ. „კლასის მართვის“ პრობლემა, არასდროს გამჭირვებია ახალგაზრდების მოსმენა, გაგება, სწავლება, აღიარება, დაფასება. წლები რომ გავიდა, მერე უფრო მივხვდი, რომ ამას ვაღწევდი ჩემი გულწრფელი დამოკიდებულებით. მე მათ წინაშე არასდროს ვთამაშობ და არასდროს ვტყუი და, რაც ყველაზე მთავარია, მათ იციან, რომ მე ისინი ძალიან მიყვარს... მათთან თავს ისე ვგრძობ, როგორიც ვარ.

გაზაფხულის დღესასწაულების მილოცვა და სურვილები თქვენგან ქალბატონებს?

დაგემშიდობებით, წარმატებებს გისურვებთ. მადლობა ინტერვიუსთვის.

სამყაროს სულისჩამდგმელი და შემოქმედი ქალია, ღამაზ ქალბატონებს ვულოცავ გაზაფხულის ღამაზ დღესასწაულებს.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

ლელა შამათავა–ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პროფესიონალი საჯარო მოხელე გახლავთ...

მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით, საზოგადოებისა და თანამშრომლებისადმი გულისხმიერი და პრინციპული დამოკიდებულებით გამოირჩევა.

მუნიციპალიტეტში ცნობილი პედაგოგების ოჯახის რძალი, სანიმუშო მეუღლე, ტყუპი ქალ-ვაჟის დედა დღეს ჩვენი სტუარია და, როგორც ყოველთვის, გულწრფელად გვესაუბრება.

„პასუხისმგებლობით ვეკიდებით დაკისრებულ მოვალეობას“

ბავშვობა

დავიბადე სოფელ საჯიჯაოში, მყავს ერთი და.

გავიზარდე ოჯახში, სადაც ჩემი მშობლები უფლისა და მოყვასის სიყვარულს, უფროსის მიმართ პატივისცემას, სიკეთის უანგაროდ კეთებას და სხვისი სიხარულის მთელი გულით გაზიარებას ბავშვობიდან გვასწავლიდნენ.

უფლებამოსილება

2012 წლის 23 მარტიდან ვმუშაობ საკრებულოს აპარატის უფროსად. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილება განსაზღვრულია კანონმდებლობით და საკრებულოს აპარატის დებულებით, რომლის თანახმადაც საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აპარატი. იმ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებზეც საკრებულოს აპარატი მუშაობს, უმთავრესი მაინც საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების სხდომების ორგანიზება და საკრებულოს სხდომაზე მისაღებ სამართლებრივ აქტებზე მუშაობა მგონია. ვფიქრობ, საკრებულოს აპარატი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი კადრებით, წლებია კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად ვასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას უკვე მეხუთე მოწვევის საკრებულოსთან ერთად და უშუალოდ ვართ ჩართული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებსმორგებული გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესში.

ოჯახი

ხობში საბოლოოდ 2006 წელს დავბრუნდი. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაშინდელ თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ჭოხონელიძეს კვალიფიციური კადრები ჰყავდა შემოკრებილი, მისი ძალისხმევით მეც შევუერთდი ამ გუნდს.

საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გვქონდა, ღამეებიც კი გვითენებია ერთად საქმის კეთებაში, რადგან საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირება, იმ მოდელით, რა მოდელითაც დღეს ფუნქციონირებს, 2006 წლიდან დაიწყო.

აქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე პირველმაისელი თენგიზ ბუკია, ჩვენი ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო და საბოლოოდ ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. თენგო, პედაგოგების ოჯახში გაზრდილი, თავისი ინტელექტით, ზრდილობით, მოზომილი ხასიათითა და საქმისადმი დამოკიდებულებით არა მარტო კარგი მეგობრი, არამედ კარგი მეუღლე და მამა აღმოჩნდა. იგი დღეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომელია და მისი ხასიათიდან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

იმ ადამიანებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ცხოვრებაში რაღაც დააგვიანეს, პირადი გამოცდილებიდან მინდა ვუთხრა: გვიანი არასდროს და არაფერი არ არის, რადგან უფლის წყალობით, 45 წლის ასაკში ორი უსაყვარლესი და ულამაზესი ტყუპების რეზი და მარიამის დედიკო გავხდი. ამ ორმა პატარამ სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრება.

დედობა ხომ ის განსაკუთრებული განცდა და ემოციაა, რომელსაც სიტყვებით ვერ აღწერ, ის შეუძლებელსაც შეგაძლებინებს, დედობრივი სიყვარული უსაზღვროა. ჩვენი რეზი და მარიამი უკვე 4 წლის არიან, ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზდელები, სადაც ხელისუფლების მხარდაჭერით არაჩვეულებრივი გარემოა მათი აღზრდა-განვითარებისთვის. მადლობა ამისთვის თითოეულ იმ ადამიანს, ვინც წარმოუდგენლად დიდ შრომას დებს ჩვენი მომავალი თაობის განვითარებაში.

დასასრულს–ყველა ქალს, ვისაც უფალმა უდიდესი ბედნიერება არგუნა წილად ერქვას დედა, ვულოცავ დედის დღეს, მინდა იყოთ უსაზღვროდ ბედნიერები და დიდხანს, დიდხანს ჰყავდეთ შვილებს იმედად.

განსაკუთრებული სითბოთი მინდა ეს დღე მივულოცო ჩემს უსათნოეს დედას და მასთან ერთად ჩემი მეუღლის დედას, ჩემი შვილების გამზრდელ ბებიას, ძალიან მიყვარხართ და ვაფასებ ყველაფერ იმას, რაც ჩემთვის გაგიკეთებიათ და აკეთებთ.

თქვენც, „ხობის მოამბეს“ ქალთა კოლექტივს გილოცავთ ქალთა დღეს, გისურვებთ ბედნიერ და ჯანმრთელ სიცოცხლეს.

დე, თქვენი გონება და სამართლიანი კალამი დიდხანს გვილამაზებდეს ცხოვრებას და ასახავდეს ჩვენი მუნიციპალიტეტის, და არამარტო, ყოველდღიურობას.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა.

ДОЛЕВАНДЕЛИ НОМРИС СТУМАРИА:
ЛАНА ГВАСАЛИА–ХОБИС МУНИЦИПАЛИТЕТИС УРБАНУЛИ ГАНВИТАРЕБИСА ДА АРХИТЕКТУРИС САМСАХУРИС УРБАНУЛИ ГАНВИТАРЕБИСА ДА ИНФРАСТРУКТУРУЛИ ПРОЕКТЕБИС МАРТВИС ГАНყОფილების უფროსი.

„2023–ნაკადვილად ბამორჩეული წელი ჩემთვის!“

ქალბატონო ლანა! უპირველესად მოგმართავთ ტრადიციული კითხვით, ვინ არის ლანა გვასალია?

–მოგესალმებით. მადლობას გიხდით ჩემი პიროვნებით დაინტერესებისთვის.

დავიბადე და გავიზარდე ხობის რაიონის სოფელ ხამისკურში, დავამთავრე ხამისკურის საჯარო სკოლა, შემდეგ კი სწავლა გავაგრძელე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. სწავლის დასრულების შემდეგ დავუბრუნდი მშობლიურ ხობს, რათა ჩემი უნარებისა და შეძენილი განათლების რეალიზება საკუთარ მუნიციპალიტეტში მომეხდინა.

გვიპასუხეთ, როგორი ბავშვობა გქონდათ, როგორ გარემოში იზრდებოდით. რა დაგამახსოვრდათ განსაკუთრებით ბავშვობის წლებიდან?

–მე გასული საუკუნის 90-იანი წლების ბავშვი ვარ, იმ ეპოქის, როდესაც ქვეყანაში თითქმის ყველას ერთნაირად გვციოდა, გვშიოდა, გვიხაროდა თუ გვწყინდა. ბევრი ტკბილი მოგონება მაქვს მაშინ, ბავშვობას სხვა ფერი ჰქონდა, გულუბრყვილო ბავშვები ვიყავით უბრალო სურვილებით...

თქვენს მშობლებზე გვიამბეთ?

–ჩემი მშობლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ხამისკურში. დედა–ნანი პერტახია 30 წელი ემსახურა მუნიციპალიტეტს ჯანდაცვის მიმართულებით. იყო ხობის რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების ბებიაქალი. მამა–ვახტანგი გვასალია, პროფესიით ეკონომისტია, ასევე წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. ხობში, დაზღვევის ინსპექტორად. ამჟამად დაკავებულია საკუთარი მცირე ბიზნესით, ხოლო დედა დიასახლისია და ჩემი შვილების საუკეთესო აღმზრდელი. სამწუხაროდ, დედისერთა ვარ და და–ძმის ყოლის ბედნიერების განცდა აუხდენელ ოცნებად დამრჩა.

ქალბატონო, ლანა! სად და როდის გაიცანით თქვენი მეუღლე, რა არის პირადი ბედნიერება?

–ჩემი მეუღლე–გიორგი დარჩია წარმოშობით ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათიდანაა. მამის ნაადრევად გარდაცვალების შემდგომ, იზრდებოდა დედასთან ქ. ბორჯომში. ერთმანეთი კი თბილისში, სტუდენტობის წლებში გავიცანით. მალევე შევქმენით ოჯახი–2012 წელს და მივიღეთ ხობში ცხოვრების გადაწყვეტილება.

გიორგი ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში მუშაობს, არის ანსამბლ „კოლხეთის“ ვოკალისტი, ასევე ხობის კულტურის ცენტრთან არსებული კვარტეტის „ხობი“ ხელმძღვანელი; ზუგდიდის კულტურის სახლთან არსებული ბენდის „ბოლო ოთახი“ წევრი; ზუგდიდის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მეორე სამუსიკო სკოლის ილუსტრატორი.

ჩემთვის პირადი ბედნიერება არის სიმშვიდე და სიყვარული ოჯახში, სადაც ყველა ერთმანეთის ბედნიერებისთვის ზრუნავს.

ლანა, ვიცი 2 შვილის დედა ბრძანდებით. მესამის მოლოდინში ხართ. იცით ვინ დაიბადება?

–უფროსი შვილი–შიო, ქ. ხობის კერძო სკოლა „არეა“–ს მე–4 კლასის მოსწავლეა, ხოლო უმცროსი ქალიშვილი–ანა ჯერ მხოლოდ 1 წლის და 8 თვისაა. შიო ქ. ხობის №2 საბავშვო ბაგა–ბაღის აღსაზრდელი იყო და იქ ნამდვილად ზღაპრული წლები გაატარა, აღმზრდელ–მასწავლებელთა წყალობით. ანაც ამავე ბაღის აღსაზრდელი გახდება მომავალი წლიდან. მესამე შვილის დაბადებას მოუთმენლად ველით, ღვთის წყალობით, აპრილის თვეში კიდევ ერთი ბედნიერება–პატარა ბიჭუნა შეემატება ჩვენს ოჯახს.

ლანა, სანამ პროფესიას დაეუფლებოდით, რა იყო თქვენი ინტერესის სფერო, დღეს რა არის?

–დაწყებით კლასებში მყავდა საოცარი დამრიგებელი–სულმნათი მზიური სართანია, რომელსაც იმდენად დადებითი გავლენა ჰქონდა ჩემს პიროვნებაზე, ვფიქრობდი, რომ გავიზრდებოდი, აუცილებლად მასწავლებელი უნდა გავმხდარიყავი. უფროს კლასებში შემეცვალა ინტერესის სფერო და საბოლოოდ მივიღე ბიზნესის ადმინისტრირების შესწავლის გადაწყვეტილება. დღეს, ჩემი სამსახურებრივი სფეროდან გამომდინარე, ძალიან ვარ დაინტერესებული ინფრასტრუქტურით, არქიტექტურით, სულ სხვა თვალსაწიერი გაიშალა ჩემს წინაშე, ძალიან საინტერესო, ამოუწურავი მიმართულება, ფუნდამენტური საშუალებები და სისტემა, რომელიც ემსახურება ქვეყანას, მუნიციპალიტეტს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების ცხოვრების პირობების გასააქტიურებლად და გასაუმჯობესებლად.

როგორ დაიწყო თქვენი სამსახურებრივი გზის პირველი ნაბიჯები? სად და რაზე დაიწყეთ მუშაობა და როგორ მართეთ თავი, რამდენი წელი იმუშავეთ პირველ სამსახურში?

–პირველი სამსახური იყო საბანკო სფეროში, 2014 წლიდან სულ რამდენიმე თვე, თუმცა იქ ვერ ვიპოვე საკუთარი თავი და მალევე მივიღე წამოსვლის გადაწყვეტილება. 2015 წელს გამოცხადდა ვაკანსია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში, შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ამიყვანეს წამყვან სპეციალისტად საარქივო საქმისწარმოების საკითხებში. ამ სამსახურში ვიმუშავე დაახლოებით 1 წელი, შემდეგ გადამიყვანეს ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილებაში, წამყვან სპეციალისტად. 2021 წლამდე ვიმუშავე სპეციალისტის პოზიციაზე, 2021 წლიდან 2023 წლამდე ვასრულებდი განყოფილების უფროსის მოვალეობას, 2024 წლის 1 იანვრიდან უკვე დავინიშნე განყოფილების უფროსად.

მიმდინარე წელი ფეხბედნიერი აღმოჩნდა თქვენთვის. მესამე შვილის მოლოდინი, ახალი, მნიშვნელოვანი სამსახური. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი?

–დიახ, ეს თვეები ნამდვილად გამორჩეული იყო ჩემთვის, სამსახურში მნიშვნელოვან კარიერულ წინსვლას მივაღწიე. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ჩემს ამ წარმატებას. ხელმძღვანელ პირებს, რომელთაც სწორად შეაფასეს ჩემი როლი ამ სამსახურში და მომცეს შესაძლებლობა, მენეჯერის პოზიციით გამეგრძელებინა საქმიანობა. ვცდილობ, მათგან მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით ვიურთიერთო თანამშრომლებთან.

მოგეხსენებათ, ყველა დაწესებულებისთვის წარმატების საზომი, კარგი თანამშრომელია, მათი პროდუქტიულობისთვის კი კომფორტული გარემო საკმაოდ მნიშვნელოვანია.

უდიდესია ხელმძღვანელის როლი, ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაში მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იყოს თანამშრომელთა ინტერესები. ჩემი აზრით, ადამიანურ, უბრალო და გულწრფელ ურთიერთობებს ვერაფერი ჩაანაცვლებს და წარმატებაც გარდაუვალი იქნება. კარიერული წინსვლის სიხარულს დაერთო განუზომელი სიხარული მესამე შვილის მოლოდინისა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ამ წლის მნიშვნელობა ჩემს ცხოვრებაში.

ალბათ ყოველი დღე დამღლელია თქვენთვის, ახლა მით უფრო... როგორია მეუღლის, ბატონი გიორგის როლი ბავშვების აღზრდაში. კიდევ ვინ გეხმარებათ?

–საბედნიეროდ, გიორგის ჩემთან შედარებით თავისუფალი სამუშაო გრაფიკი აქვს, ამიტომაც თავისი დროის უმეტეს ნაწილს შვილებთან ატარებს, ასევე, განუსაზღვრელია ჩემი მშობლების როლი ბავშვების აღზრდაში, ეს არის ჩემი სიმშვიდის გარანტი.

ქალბატონო ლანა, ვინ არიან ის ადამიანები, რომელთა აზრი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია?

–როდესაც რაიმე გადაწყვეტილების მიღება მიწევს, აუცილებლად ვუსმენ ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანებს, ძირითადად ჩემი ოჯახის წევრებს, ვაანალიზებ მათ რჩევებს, თუმცა, საბოლოოდ მაინც დამოუკიდებლად ვიღებ გადაწყვეტილებას, რადგან ვფიქრობ, საუკეთესო მრჩეველი ყველა საკითხში საკუთარი თავია.

ყველაზე მნიშვნელოვანი და სასურველი საჩუქარი რა მიგიღიათ ცხოვრების მანძილზე?

–ყველაზე დიდი საჩუქარი მივიღე უფლისგან 2014 წლის 22 მაისს შიოს და 2022 წლის 9 ივნისს ანას სახით. ახლა აპრილში კიდევ ერთხელ დამასაჩუქრებს უფალი, მათზე ღირებული და მნიშვნელოვანი საჩუქარი არ არსებობს.

თქვენთვის რომელი ქვეყანა, საქართველოს რომელი კუთხე ან ადგილია შთამბეჭდავი?

–ძალიან მიყვარს ჩვენი ქვეყანა. კონკრეტულად ვერ გამოვარჩევ მის რომელიმე კუთხეს, რადგან ყველა მათგანს განსაკუთრებული ხიბლი აქვს, სადაც საქართველოა, ყველგან სიყვარულია.

ადამიანებთან კომუნიკაციას მალევე ახერხებთ? ეს ძალზე დადებითი თვისებაა. ურთიერთობებს რა ნიშნით აფასებთ?

–ბავშვობიდან ძალიან კომუნიკაბელური ვარ, ვერ ვურთიერთობ ჩაკეტილ, სიტყვაძუნწ ადამიანებთან. ჩემთვის ერთგვარი თერაპიაა საუბარი საინტერესო თანამოსაუბრესთან. მიყვარს ცხოვრება და მისი ნათელი ფერები. გულღია, წრფელი ურთიერთობები, სადაც ადგილი არ რჩება უარყოფითისთვის.

მიხარია, რომ გიცნობთ. ახლა ისღა დამრჩენია, მომავალი წარმატებები, გაზაფხულის დღესასწაულები მოგილოცოთ და გისურვოთ, ლამაზი და ბედნიერი დღეები გაგიმრავლდეთ.

–კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ვფიქრობ, საინტერესო ინტერვიუ გამოგვივიდა. გისურვებთ წარმატებებს და ბევრ ერთგულ მკითხველს!

თქვენ და ყველა ქალბატონს გილოცავთ დედისა და ქალის დღესასწაულებს.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

ხსოვნა

ნუგზარ ნადარაია

„სანამ გახსოვარ, არ ვითვლები მკვდრად, დამივიწყებ და გადვიქცევი მტვრად“–თანამედროვე პოეტის ეს სიტყვები მინდა წავუმძღვარო იმ მოგონებათა ნიაღვარს, რომლებიც მომეძალება ხოლმე თებერვლის სუსხიან დღეებში, როცა ვიგონებ ჩემს უძვირფასეს ადამიანს, სიყრმის მეგობარს, ნუგზარ ნადარაიას მიერ განვლილ ცხოვრებას, რომელზეც ტომეულები შეიძლება დაიწეროს. იმ ადამიანს, რომლის მონატრება გულსა და სულს გიფორიაქებს, ვისთანაც არაერთი დაუვიწყარი წუთი, დღე და წელი გამიტარებია...

„ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ...“ ჰოდა, საბედნიეროდ, განგებამაც ისე ინება! ჩვენი მეზობლობა, გულმხურვალე, უანგარო მეგობრობა დაუვიწყარი ბავშვობიდან დაიწყო, ყველა ქარტეხილსა და დაბრკოლებას მტკიცედ გაუძლო, სიჭარმაგეში გადასულებს კი, მაინც ძველებურად გვიყვარდა და გვწამდა ერთმანეთი.

ძნელია ნუგზარ ნადარაიაზე წარსულში ისაუბრო, თავს მოვალედ მივიჩნევ გაგახსენოთ მის მიერ განვლილი შინაარსიანი ცხოვრება, რომელიც სამაგალითოა მომავალი თაობებისთვის.

ბატონი ნუგზარი ბავშვობიდანვე იყო გამოკვეთილი ლიდერი სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც, დიდ პოლიტიკურ სარბიელსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ყველასგან გამორჩეული, უდიდესი ენერგიით, მრწამსით, უნიკალური უნარებით კოლხური კულტურის ერთგული ქომაგი და დამფასებელი გახლდათ. თხემით ტერფამდე კოლხური ტრადიციების მიმდევარი, მეგობრებს გვაოცებდა დაუშრეტელი ენერგიით, სულის სიმხნევითა და ოპტიმიზმით. ეს თვისებები მას ოჯახიდან მოსდგამდა. ამ სულისკვეთებით აღზრდილს არ მიუტოვებია მამისეული სახლი, მშობლების ხსოვნისადმი განსაკუთრებული პატივისცემა კი ლაიტმოტივად გასდევდა მის ლამაზ ცხოვრებას, რომელიც ყოველთვის არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. მას არასდროს არანაირი წინააღმდეგობის წინაშე არ მოუხრია ქედი, არ შეუცვლია ცხოვრების მრწამსი და არ უღალატნია საკუთარი პრინციპებისთვის.

ნუგზარ ნადარაიას ბედმა არგუნა არაერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობა. მის სახელთან ბევრი საშვილიშვილო საქმე ასოცირდება. იგი ყოველთვის თანამდებობას, თავისი თავმდაბლობიდან გამომდინარე, მოვალეობად მიიჩნევდა და არა უპირატესობად.

ღრმად მორწმუნე, უნიჭიერესი და დაუდგრომელი ბუნების კაცის ინიციატივით გახდა შესაძლებელი ფოთელი ინტელიგენციისათვის სახელმწიფო დანამატის დაწესება, ნიჭიერი მოზარდებისათვის გრანტების გადაცემა, ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმა სამეგრელოს მოედანზე, გიორგი ჭყონდიდელის ღვაწლის წარმოჩენა, მისი დამსახურებით ქართულმა ეკლესიამ ეს ორი დიდი მოღვაწე და სულიერი ლიდერი წმინდანად შერაცხა. ბატონ ნუგზარის სახელს უკავშირდება ფაზისის აკადემიის აღორძინება და ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ათტომეულის გამოცემა. თვით სიტყვა ცოტნეიდელიც მისი გონების ნაყოფია. სახალხო დიპლომატიის ნამდვილი ზეიმი გახდა მისი ინიციატივით წამოწყებული ცოტნეობის დღესასწაული.

ბევრი არაჩვეულებრივი დღე გვაჩუქა ბატონ ნუგზარ ნადარაიამ, დღე–შთამბეჭდავი და დაუვიწყარი. ნუგზარ ნადარაია, ფაზისის აკადემიის წევრებთან ერთად, ყოველ წელს 2 იანვარს, ბედობის დღეს, საპატრიარქოში სტუმრობდა ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს და ანგარიშს აბარებდა გაწეული საქმიანობის შესახებ. ეს დღე იყო მადლიერებისა და სულის ზეიმი.

მთავარი შტრიხი ბატონი ნუგზარის პორტრეტისთვის იყო მეგობრობის საოცარი ნიჭი, დამყარებული უანგარო სიყვარულზე, ნდობაზე, ერთგულებაზე, საერთო მიზანსა და ურთიერთპატივისცემაზე, ხშირად საერთო ინტერესებზეც, სწორედ ასეთი მეგობრობა გვაკავშირებდა მე და ნუგზარს. იგი იყო ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი ბავშობიდან სიცოცხლის ბოლომდე, ჩემი შვილების გზამკვლევი, ქრისტიანულ რწმენაში ჩემი განმამტკიცებელი.

ბატონი ნუგზარი ამაყობდა თავისი დიდებული ოჯახით, ქალბატონი მანანათი, ვაჟიშვილ ოთარითა და საფიცარი შვილიშვილი-ნინოთი.

ჩემო ნუგზარ, შენმა ოჯახმა ყველაფერი გააკეთა შენი სახელის უკვდავსაყოფად. ამქვეყნიდან შენ წახვედი, როგორც ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი ადამიანი, არასოდეს ამოიშლები თანამედროვეთა ხსოვნიდან. მუდამ დიდი სიყვარულით გიხსენებთ ახლობლები, მეგობრები, თანაქალაქელები, ქართველი საზოგადოება.

ჩემო დაუვიწყარო მეგობარო, შენი ცხოვრება და მოღვაწეობა, ჩინებული ერისკაცობის დიდებული მაგალითია და როგორც ხშირად ამბობდი ხოლმე: „ლეგენდად დარჩეს, ლეგენდად დარჩეს“, ასე ლეგენდად შემორჩება შენი ღვაწლი და სახელი მომავალ თაობებს.

ვაგნერ მხეიძე

გამოსათხოვარი

ირაკლი სიჭინავა



კიდევ ერთი გულმართალი კაცი განეშორა სამზეოს... ჩვენი გაზეთის გულშემატკივარი, ნაღდი ინტელიგენტი, პოეტი, საუკეთესო პედაგოგი და აღმზრდელი... ახალი თაობებისთვის მაგალითი იმისა, როგორ უერთგულო შენს ოდაბადეს, როგორ დაედო მტლად მის აწმყოსა და მომავალს...

წლების წინათ ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა... ვიდრე გაზეთი გამოვიდოდა, ხშირად მოდიოდა, მორიდებით გადაავლებდა თვალს ახალ გარანდულ ბწკარებს და გვტოვებდა...

შემდეგ იყო მისი ლექსების კრებულით აღფრთოვანება „საყვედურები“ ჩვენგან–„რას ელოდები, ქეიფი მოგვენატრაო“...

მორიდებული კაცი იყო, მაგრამ სამართლიანი, შემოქმედი, ისე ჩაერთო სასკოლო ცხოვრებაში, შეხვედრები მოგვანატრა, მისი ბარათები დღესაც ინახება ჩემს არქივში–ქართული მართლწერის ნიმუშად...

სამოთხეში გასამგზავრებლად კარგა ხანია ემზადებოდა (სხვაგან მისი ადგილი სად უნდა ყოფილიყო), უმძიმდა სააქაოს დატოვება, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა... ალბათ, იქაც ელიან თავისი უდროოდ წასული ძმები, მეგობარ ნათესავები, რაც გაუადვილებს გზასავალს... ჩვენ კი დაგვაკლდება, მოგვენატრება..

მოესიყვარულე ჩვენს მონატრებულ რედაქციელებს–ნაირას, ვლადიმერს, ნოდარის, სერაპიონს, გოგის, ლეილას, ლირას, შორენას... გვიყვარხართ, იმიერიდანაც გვეიმედებით...

მერი ლაგვილავა

„ჩემი ქართულის მასწავლებელი“

მასწავლებლობა მადლია, ნიჭია...მასწავლებელი კი ადამიანი, რომელიც ჩვენს სულში სანთელს ანთებს და ეს ნათელი მოგვყვება მთელი ცხოვრება.

მასწავლებლებზე წერენ წიგნებს, მემუარებს, მე ბავშვობიდან მომყვება შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ჩემი ქართულის მასწავლებელი“, რომელიც მან თავის ლიტერატურის მასწავლებელ იოსებ ჭრელაშვილს მიუძღვნა.

„დაე, იცოდნენ ჩვენს საქართველოს
ისევ სჭირდება შენისთანები,
შენით ვამაყობ, ჩემო გამზრდელო,
შენს ქართველობას ვეთაყვანები.
ირემო ბარად ჩამოვარდნილო,
თუ მოგეწევა ჟამთა ისარი,
აყმუვლდებიან შენი გაზრდილნი,
როგორც ალგეთზე ლეკვნი
მგლისანი“

დიდი პოეტები იმით არიან გამორჩეულები, რომ თაობების სათქმელს ამბობენ. გავკადნიერდები და ვიტყვი: ეს სიტყვები ჩემს პედაგოგს–ირაკლი სიჭინავასაც ეძღვნება. არა მხოლოდ მასწავლებელს, ნიჭიერ ხელოვანს, რომელმაც რეჟისორის, ფერმწერის უნარით მოიტანა მოსწავლეებამდე ქართული სიტყვის მადლი, ლიტერატურის სამყარო. თავისი უთვალავი ფერებით დაგვიხატა ჩვენი წარსული და აწმყო, მისებურად, პატრიოტი კაცის უსაზღვრო სულისკვეთებით.

ახლაც თვალწინ მიდგას მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები. მგზნებარებით წაკითხული ილია და აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი, მუხრან მაჭავარიანი და მურმან ლებანიძე.

სიღრმისეულად განხილული „დიდოსტატის მარჯვენა“. მისი წყალობით ჩვენ, ჯერ კიდევ „საბჭოთა სკოლაში“, ვიცნობდით ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის შემოქმედებას. იყო მასში რაღაც აუხსნელი, პოეტური, ქარიზმატული, შემოქმედებითი სულიერებით აღბეჭდილი.

მასწავლებელი მშობელივითაა, სანამ გყავს, თავი ბავშვი გგონია, სიცოცხლე კი უსასრულო...

ვიდრე ცოცხალი იყო, ვერ გავბედე მისთვის საჯაროდ მეთქვა მადლობა იმ შრომისა და თავდადებისთვის, რაც ჩვენთვის, მოსწავლეებისთვის გააკეთა. დღეს, როცა ცოცხალი აღარაა, მინდა ვთქვა რაღაც განსაკუთრებული, განსხვავებული... ვცდილობ, მაგრამ სიტყვა არ მომყვება. ძნელია მასზე წარსულ დროში საუბარი. როგორ გვჭირდება დღეს მისი მსგავსი ადამიანები, საყვარელი საქმისთვის გულანთებულები. რამდენი რამ დარჩა სათქმელი: ძარღვიანი სიტყვა, ლამაზი ლექსი.

სათითაოდ აზიარებენ სოციალურ ქსელში მის ფოტოს და ლექსებს მისი აღზრდილები, ასე გამოხატავენ მწუხარებას, გულისტკივილს. და ალბათ, ესაა ერთადერთი შეგნება იმისა, რომ სანთელ–საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. „დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ იკარგებიან“.

სიმშვიდე თქვენს სულს, ირაკლი მასწავლებელო, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის საყვარელი საქართველოს მიწა, რომელიც გულზე დაგეყრებათ.

მარინა გოლავა.

23 თებერვალი იუნკერთა ხსოვნის დღე

ხალხი არ ივიწყებს მამულისთვის თავშეწირულ გმირებს

ბოლშევიზმის საშინელებათა ციკლის ნაწილია მღვდელ ლავრენტი იოსავასა და მისი ვაჟის საქართველოს რესპუბლიკის არმიის ოფიცრის, 1921 წლის 24 თებერვალს კოჯორთან დაღუპული ივანე (ლოლი) იოსავას ისტორია. მათ შესახებ მკვლევარი ანზორ სიჭინავა და ამ წერილის ავტორი მასალებს მთელი ათი წელი ვეძებდით და ვაგროვებდით.

2022 წელს ხობის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ დავით ბუკიას მხარდაჭერით, ეს მასალები დამუშავდა და წიგნის სახით გამოიცა, რითაც შესაძლებელი გახდა მივიწყებული მამულისთვის თავდადებული გმირები ფართო საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის გაგვეცნო.

გასულ წელს, 24 თებერვალს ბიის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიაში გმირთა სახელების უკვდავსაყოფად უამრავი ადამიანი შეიკრიბა.

შეკრებას ესწრებოდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობა, თანამშრომლები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, ფოთისა და ხობის ეპარქიის სასულიერო პირები.

გმირების სულის მოსახსენებელი პანაშვიდი ფოთისა და ხობის **მიტროპოლიტმა გრიგოლმა** აღავლინა.

მღვდელი ლავრენტი იოსავა, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს 1924 წლის აჯანყებას, 1935 წელს გარდაიცვალა. 20-30-იანი წლები აქტიური ანტირელიგიური კამპანიის წლებია, მისი საფლავი უბრალო ქვის ლოდით იყო მონიშნული.

სულ ახლახან ფრიდონ კუკავას, ალბერტ ბერაიას და სხვათა თანადგომით მღვდელ ლავრენტი იოსავას საფლავზე შესაბამისი წარწერით მოკრძალებული ქვის ჯვრიანი მონუმენტი დაიდგა. სიმბოლურია, რომ ეს 1924 წლის აჯანყების ასი წლისთავზე მოხდა.

რაც არ უნდა დამალონ, დავიწყების ბურუსით დაფარონ, ხალხი არ ივიწყებს თავის გმირებს.

დიდება მამულისთვის თავშეწირულ გმირებს!

უფალმა განუსვენოს მათ სულებს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

გოგიტა ჩიტაია.

მოლოცვა

მაკა სერგიას!

ჩემთვის დიდად პატივსაცემს და კოლორიტული ოჯახის ქალბატონს, განათლებულს, ინტელექტუალს, თბილს და ფაქიზი სულის ადამიანს მაკა სერგია-ჭითავას ვულოცავ დაბადების დღეს და გაზაფხულის დღესასწაულებს.

დაილოცოს ქალბატონო მაკა თქვენი ქალობა, მეუღლეობა, დიასახლისობა, დედობა და ვერც კი ვითვლი, რამდენი რამ...

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ლამაზი ოჯახის შემწე და მფარველი.

მიყვარხართ.

პატივისცემით
ნაირა ბერაია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ქალაქ ხობში, თბილისის მერიის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (სისხლის ბანკი) და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, სისხლის უანგარო დონორთა აქცია–„გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“ გაიმართა.

დონორთა აქციაში მერიის და იურიდიული პირების წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, დავით ბერაიამ მიიღო მონაწილეობა.

„სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის კომპონენტებით ამარაგებს, როგორც ბავშვთა, ისე მრავალპროფილურ კლინიკებს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სისხლის უანგარო დონორთა აქცია, პერიოდულად იმართება.

დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის, დათა ხურცილავას სახელობის საფეხბურთო პირველობის ფინალური შეხვედრები გაიმართა.

მემორიალური ტურნირის გამარჯვებული სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის გუნდი გახდა, მეორე ადგილზე „ხეთა“ გავიდა, ხოლო მესამე ადგილი შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდმა დაიკავა.

გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სპორტულ ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერის მოადგილე დავით ბერაია დათა ხურცილავას ოჯახის წევრებთან ერთად, ესწრებოდნენ.

საფეხბურთო პირველობა მერიის და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით ჩატარდა.

ხობის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში, ახალგაზრდა შემსრულებლების მონაწილეობით, კონცერტი გაიმართა.

ხობელმა ახალგაზრდებმა: გიგი ცანავამ, ლიზი ალანიამ და მარიამ შონიამ ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ცნობილი სიმღერები შეასრულეს.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

ახალგაზრდული საღამო დიჯეის კონცერტით გაგრძელდა.

ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს–ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებითა და მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

რედაქტორი–ბეჭან ნადარაია. ტელ: 579-72-61-72

სარედაქციო კოლეგია:
მერი ლაგვილავა–პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია–ჟურნალისტი, კობა კობახიძე, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი